# ხელშეკრულება № 12/2017-ჰსს

ქ. თბილისი 13/01/2017 წ.

ერთის მხრივ ს.ს. "ჰიუნდაი ავტო საქართველო" მისი სერვისის დირექტორის ალექსანდრე ხვედელიძის სახით (შემდგომში - „მიმწოდებელი") და მეორეს მხრივ, საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო თავმჯდომარე ელდარ შენგელაია (შემდგომში - „შემსყიდველი"), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით და "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს' ქვეპუნქტის შესაბამისად , ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ცენტრის კუთვნილი ავტომანქანის HYUNDAI Tucson სახ № MDM 887 რემონტი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

1.2. შესყიდვის ობიექტია: ავტომანქანის მიმდინარე რემონტი (CPV50110000).

## 2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

2.1 შესყიდვის ობიექტის საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს 2400 (ორი ათას ოთხასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

2.2. მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში, ლარებში.

2.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით 10 სამუშაო დრის ვადაში.

2.4. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

## 3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება მოხდება მისამართზე : ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი

3.2. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

## 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

4.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

4.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

### 5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

5.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### 6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრამდე.

### 7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება, ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით (წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომი, სამოქალაქო დაპირისპირება და სხვა).

7.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდამიხედ-ვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

### 8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

8.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართელოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### 9. სხვა პირობები

9.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლება-მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

9.2. ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადაო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება, ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

9.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი-შემსყიდველთან, ორი-მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## 10 მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

**მიმწოდებელი:**

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“,

მის:თბილისი, დ.აღმაშენებელის ხეივანი,

მე-12 კილომეტრი

სს TBCBGE22

ა/ა 15TB1100000110467697

ს/კ 204478948

-----------------------------------------------

/ალექსანდრე ხვედელიძე/

**შემსყიდველი:**

საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო

მის: ქ თბილისი რუსთაველის გამზირი 8 პარლამენრის სასახლე

სახელმწიფო ხაზინა

ს/კ 204555702

----------------------

/ელდარ შენგელაია /